სსიპ სახელმწიფო
შესყიდვების
სააგენტო

03 / აპრილი / 2026 წ.

KA080106938374626

№ **1156**

განკარგულება

შპს „იუკონი და კომპანიის“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“;

გამარტივებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების რეკვიზიტები: 26.11.2025 №1-308-25 (CMR250155188);

შესყიდვის ობიექტი: 45400000 – შენობის დასრულების სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „იუკონი და კომპანია“ (ს/ნ: 404381067);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. **ადმინისტრაციული წარმოების დაწყება**

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2026 წლის 16 თებერვალს წარმოდგენილ იქნა სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ 2026 წლის 16 თებერვლის № 02/547 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 1525), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „იუკონი და კომპანიის“ (ს/ნ: 404381067) მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადებული 2025 წლის 26 ნოემბრის № 1-308-25 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით (CMR250155188) ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. სააგენტომ მიმწოდებელს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის mayvala_abuladze@yahoo.com მეშვეობით, 2026 წლის 18 თებერვლის №642 წერილით აცნობა, სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. მიმწოდებელმა სააგენტოში 2026 წლის 24 თებერვალს და 2 მარტს, წარმოადგინა 2026 წლის 24 თებერვლის და 2 მარტის განმარტებები (რეგისტრაციის №1789; №1972) მიმწოდებლის მიერ გამარტივებული

შესყიდვის საშუალებით დადებული 2025 წლის 26 ნოემბრის № 1-308-25 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით (CMR250155188) ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

2. **შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია**

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2025 წლის 26 ნოემბრის № 1-308-25 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდა.

3. **მიმწოდებლის პოზიცია**

3.1. მიმწოდებლის განმარტებით, იგი არ ეთანხმება წერილობით შეტყობინებაში მითითებულ გარემოებებს. ძეგლზე დაგეგმილი მცირე სარეაბილიტაციო სამუშაო, მიზნად ისახავდა წმინდა საბას ეკლესიის სამხრეთ ფასადზე არსებული წარწერებიანი ქვის გადარჩენას. ტექნიკური დავალება ითვალისწინებდა ქვაზე ჩასატარებელ ორ ქმედებას: ქიმების გამაგრებას კირისა და ცემენტის ხსნარით და ქვაზე დროებითი საკონსერვაციო სითხის დატანას, რომელიც მიმწოდებლის განმარტებით შესრულებული იყო. ტექნიკურ დავალებაში მითითებული იყო საკონსერვაციო სითხედ პარალოიდის 1:4 აცეტონიანი ხსნარი, თუმცა გამოყენებულ იქნა ეთილსილიკატ 40. მიმწოდებლის განმარტებით, პარალოიდის ხსნარის გამოყენება დაუშვებელი იყო ღია სივრცეში არსებულ, ძლიერ ეროზირებულ ქვებზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქვაზე შემორჩენილი იყო განლევის პირას მყოფი უძველესი ასომთავრული წარწერები. აღნიშნული ქვა იყო მძიმე მდგომარეობაში, მას ჰქონდა დაახლოებით 3 მმ სისქის დიდი ფრაგმენტი, რომელზეც განთავსებული იყო წარწერები, და რომელიც ნაწილობრივ უკვე ატკეჩილი იყო. მისი შემდგომი დაზიანება გამოიწვევდა ძეგლის უმნიშვნელოვანესი ელემენტის დაკარგვას. მიუხედავად იმისა, რომ პარალოიდის გამოყენება განსაზღვრული იყო დროებითი ღონისძიების სახით, ხელშეკრულებით განსაზღვრული 5 წლიანი საგარანტიო ვადის პირობებში, პარალოიდით დამუშავებული ქვა ვერ შეინარჩუნებდა სტაბილურობას. მიმწოდებლის განმარტებით, ობიექტზე, დროებითი ღონისძიების სახით გამოყენებული ყოფილა წებოვანი ლენტები, რომლითაც დამაგრებული იყო ატკეჩილი ფრაგმენტი. აღნიშნული ლენტები უკვე მოცილებული იყო, ხოლო ქვის ზედაპირზე და ფრაგმენტზე დარჩენილი იყო წებოს სქელი ფენები. ატკეჩილი ნაწილი უკვე რამდენიმე ადგილას გატეხილი და გაბზარული იყო და მცირე ქარის ზემოქმედებითაც ირხეოდა. სიტუაციას დამატებით ართულებდა ზამთრის პერიოდი, სახურავიდან ჩამოსული წყალი პირდაპირ აზიანებდა ქვას, რაც ზრდიდა ფრაგმენტის ჩამოვარდნისა და სრულად განადგურების რისკს. ძეგლის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აპრობირებული მეთოდის ეთილსილიკატ 40-ის გამოყენების შესახებ. აღნიშნული მეთოდით შესაძლებელი გახდა ასომთავრული წარწერების გადარჩენა. მიმწოდებელი მის მიერ წარმოდგენილ განმარტებაში მიუთითებს, რომ მართალია, შესაძლებელი იყო წინასწარ შეთანხმება შემსყიდველ ორგანიზაციასთან საკონსერვაციო სითხის ცვლილების შესახებ, თუმცა ეს მოითხოვდა დამატებით პროცედურებსა და დროს. მოცემულ პირობებში, ნებისმიერი დაყოვნება (მათ შორის ერთი ძლიერი ქარი ან ნალექი) შეიძლებოდა გამხდარიყო ქვის ფრაგმენტის ჩამოვარდნისა და ძეგლის შეუქცევადი დაზიანების მიზეზი.

3.2. მიმწოდებლის წარმომადგენლმა, 2026 წლის 2 მარტს წარმოდგნილ განმარტებაში დამატებით აღნიშნა, რომ სწორედ მიმწოდებლის მრავალწლიანი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება გახდა მეთოდის ცვლილების მიზეზი, რითაც მან გადაარჩინა ქვაზე არსებული უძველესი ასომთავრული წარწერები განადგურებისაგან. ამასთან, შესაბამისი მითითების შემთხვევაში, შესაძლებელი იყო გამოყენებული ხსნარის - ეთილსილიკატ-40-ის უკან დაბრუნებდა, თუმცა, ამის რეალური საჭიროება არ არსებობდა. ამავე განმარტებით, მიმწოდებლის წარმომადგენელმა მოითხოვა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, შემსყიდველი ორგანიზაციის 2026 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

4. **სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები**

4.1. 2025 წლის 26 ნოემბერს, მხარეთა შორის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დაიდო № 1-308-25 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (CMR250155188), რომლის თანახმად, მიმწოდებელს უნდა შეესრულებინა სოფელ არადეთში, წმინდა საბას ეკლესიის სამხრეთ ფასადზე არსებული ქვის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 590, 63 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2026 წლის 31 მარტი.

4.2. ტექნიკური დოკუმენტაციის თანახმად, ქვის სტრუქტურული დაზიანების დროებითი გამაგრება უნდა მომხდარიყო პარალოიდი B72-ის, პარალოიდი: აცეტონი 1:4-ის გამოყენებით.

4.3. მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მონიტორინგის სამსახურის სპეციალისტის 2025 წლის 12 დეკემბრის მონიტორინგის ანგარიშით დგინდება, რომ ობიექტზე განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაო არ იყო შესაბამისობაში პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოებთან, კერძოდ: ქვის სტრუქტურული დაზიანების გამაგრება განხორციელდა ეთილსილიკატ-40-ის გამოყენებით, ხოლო დაზიანებული ქვის ახლეჩილი ფენის გამაგრება და ნაპირებთან არსებული სიცარიელეების შევსება განხორციელდა კირდუღაბით (ყვითელი ქვიშა და ჩამქრალი კირი 1:3 პროპორციით).

4.4. მიმწოდებელმა 2025 წლის 19 დეკემბრის №113 წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ მან არ ჩათვალა ცემენტის გამოყენება მიზანშეწონილად და გამოიყენა ყვითელი ქვიშა და ჩამქრალი კირი 1:3 პროპორციით. ამასთან, ვინაიდან წარწერებიანი ქვა იყო ქვიშაქვა, რომელიც ძლიერ იყო ეროზირებული და

საჭიროებდა სტრუქტურულ გამაგრებას, სტრუქტურულ გამაგრებაზე მუშაობის 41 წლიან გამოცდილებაზე დაყრდნობით, საჭიროდ ჩათვალა ეთილსილიკატ-40-ის გამოყენება, ნაცვლად პარალოიდი B72-ისა.

4.5. შემსყიდველი ორგანიზაციის 2026 წლის 29 იანვრის № 19/318 წერილის მიხედვით, მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაო, არ შეესაბამებოდა ხელშეკრულების ტექნიკური დავალების მიხედვით გათვალისწინებულ პირობებს და შესრულებული სამუშაოს მეთოდოლოგია არსებითად ეწინააღმდეგებოდა მას, ასევე, უკვე შესრულებული სამუშაო არ ექვემდებარებოდა გამოსწორებას. ამავე წერილით შემსყიდველმა ორგანიზაციამ ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „იუკონი და კომპანია“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2025 წლის 6 ივნისის № 132 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდა. სააგენტო აღნიშნავს, რომ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი განმარტება ვერ აბათილებს დარღვევის ფაქტს. კერძოდ, მიმწოდებელი მიუთითებს, რომ ობიექტზე არსებული მდგომარეობა იყო კრიტიკული და საჭიროებდა დაუყოვნებელ რეაგირებას, რის გამოც ტექნიკურ დავალებაში მითითებული მასალის (პარალოიდი B72-ის) ნაცვლად გამოყენებულ იქნა სხვა კონსერვანტი - ეთილსილიკატ 40. მიმწოდებლის მიერ ტექნიკურ დოკუმენტაციაში მითითებული მასალის ერთპიროვნულად შეცვლა არღვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, ვინაიდან მსგავსი ცვლილება საჭიროებდა შემსყიდველ ორგანიზაციასთან წინასწარ შეთანხმებას და შესაბამისი ცვლილების გაფორმებას. აღნიშნული მოთხოვნის დაუცველობა თავისთავად წარმოადგენს ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების საფუძველს. ამასთან, საქმეში არსებული 2025 წლის 12 დეკემბრის მონიტორინგის ანგარიშით და 2026 წლის 29 იანვრის წერილით დგინდება, რომ შესრულებული სამუშაოები არ შეესაბამებოდა ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის შეფასებით, შესრულებული სამუშაო არ ექვემდებარებოდა გამოსწორებას. მიუხედავად მიმწოდებლის მითითებისა, რომ გამოყენებული მეთოდი იყო აპრობირებული და მიზნად ისახავდა ძეგლის დაზიანების პრევენციას, აღნიშნული გარემოება ვერ გაამართლებს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დარღვევას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ცვლილება არ ყოფილა შეთანხმებული შემსყიდველ ორგანიზაციასთან. სააგენტო ასევე ყურადღებას ამახვილებს მიმწოდებლის განმარტებაზე, რომლითაც ის ითხოვს შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილების ბათილად ცნობას და აღნიშნავს, რომ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა სცილდება სააგენტოს კომპეტენციას. ამდენად, ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, არ იკვეთება მიმწოდებლის პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები და არსებობს მისი შავ სიაში რეგისტრაციის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის

სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძვლები, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები (მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტი არ გაფორმებულა). შესაბამისად, მოცემული დარღვევის ფაქტის გათვალისწინებით, შპს „იუკონი და კომპანია“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „იუკონი და კომპანია“ (ს/ნ: 404381067) 2026 წლის 6 აპრილს დარეგისტრირდეს შავ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე